5236/3-125/21 2 01062021

5236/3-125/21
01-06-2021

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსს

ბატონ ზურაბ სიჭინავას

ბატონო ზურაბ,

საქართველოს მოქალაქეები ხშირად აწყდებიან პრობლემას შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მხრიდან საზღვარზე კანაფის (CBD) ზეთის ან/და კანაფის სხვა დანიშნულების პროდუქტების შემოტანის დროს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პროდუქციას არ აქვს თიეიჩსის (THC) შემცველობა ან/და არ არის ფსიქოაქტიური.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია სამართლებრივი საფუძვლის მითითებით:

ა) რამდენი პროცენტი თიეიჩსის (THC) შემცველობა არის დაშვებული პროდუქტის საქართველოს საზღვარზე შემოტანის დროს;

ბ) კანაფის (CBD) შემცველ ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც საერთოდ არ შეიცავს THC პროცენტულობას მოქმედებს თუ არა რაიმე შეზღუდვა საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის დროს.

პარლამენტის წევრი
იაგო ხვიჩია